ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 324

“ 15 ” აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4619კვ.მ. (ნაკვეთი №007/065, საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.065) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის 419 განკარგულების, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4619 კვ.მ. (ნაკვეთი №007/065, საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.065) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 21 ივნისის №22.18.446 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4619 კვ.მ (ნაკვეთი №007/065, საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.065) მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 21 ივნისის №22.18.446 განკარგულების დანართი 1-ით განსაზღვრული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: 1.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი